თუ ერთი ალლაჰის მონა დაფარავს (დაიცავს) მეორე მონას ამქვეყნად, ალლაჰი უთუოდ დაფარავს მას განკითხვის დღეს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ ერთი ალლაჰის მონა დაფარავს (დაიცავს) მეორე მონას ამქვეყნად, ალლაჰი უთუოდ დაფარავს მას განკითხვის დღეს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ როდესაც ერთი მუსლიმი დაფარავს (დაიცავს) მეორე მუსლიმს რამეში, ყოვლისშემძლე და უზენაესი ალლაჰი უთუოდ დაფარავს მას განკითხვის დღეს, რადგან საზღაური შეესაბამება ქმედებას. იგულისხმება, რომ ალლაჰი არ გამოამჟღავნებს მის ნაკლოვანებებსა და ცოდვებს სხვათა წინაშე, როდესაც ადამიანები შეკრებილნი იქნებიან აღდგომის დღეს, ან არ დასჯის მას მათ გამო და არ შეახსენებს მათ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3777